ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში

2018

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის

2018 წლის ანგარიში

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2018 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ და განკუთვნილია, როგორც სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის, ასევე საქართველოს მთავრობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციულ დოკუმენტს საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის.

ანგარიში მოიცავს 2018 წლის ბოლომდე გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას. მასში მოცემულია სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების შესრულების ინდიკატორები, მოცემულია სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების და პარტნიორი უწყებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ასევე მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დოკუმენტით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის №629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნები სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაცულია თანმიმდევრობა და მისი შემუშავების წესი.

აღნიშნული ანგარიში ასახავს იმ თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ანგარიშში წარმოდგენილი განხორციელებული რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად წარმოდგენილი განხორციელებული

2018 წლის ანაგარიში

რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ამ მიმართულებით განგრძობადი განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის №173 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლებრივი ფასეულობებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვას.

2018 წლის შესრულების ანგარიშის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ განსაზღვრული ამოცანების მიღწევის ფორმულირება, არამედ ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუქცევად ხასიათს შესძენდა.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 6 პრიორიტეტული მიმართულების შესრულების სტატუსი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: პირველ რიგში, დასახულიამოცანის ფარგლებში მოქცეული აქტივობების სტატუსების რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი შესრულების ინდიკატორების მიხედვით; აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილი კონკრეტული სტატისტიკური პროგრესის მაჩვენებლის მიხედვით; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2018 წლის შესრულების ფარგლებში ჩატარდა არაერთი საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გენდერული და სექსუალური ხასიათის ძალადობის და შევიწროების პრევენციის მიზნით, ელექტრონული სასწავლო კურსი ,,სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე'' სავალდებულო გახდა და აღნიშნული კურსი გაიარა თავდაცვის სამინისტროს ყველა სამოქალაქო პირმა, თავდაცვის ძალების ყველა ოფიცერმა და კაპრალ-სერჟანტმა, რომლებიც დანიშნულნი არიან სამეთაურო/საშტაბო თანამდებობებზე.

გარდა აღნიშნულისა, სამოქმედო გეგმის შესრულებასთან მიმართებით გამოვლინდა როგორც გამოკვეთილი პროგრესი კონკრეტული მიმართულებებით, ასევე, ნაწილობრივი პროგრესი სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროებზე.

მოქმედების სფერო I

მონაწილეობა

ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე

მიზანი 1: ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში

ამოცანა 1.1. უსაფრთხოების სექტორში ქალთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა და ფუნქციონირებს ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზზე.

ამოცანის ინდიკატორი

1.1.ა: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით;

ბაზისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძნობიარეა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს;

მიზანი: გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტები;

1.1.ბ: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

1.1.გ: უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და თავდაცვის ძალებში) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა;

მიმდინარე: არ არსებობს;

მიზანი: სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

1.1.დ: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით;

მიმდინარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 32%;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3 %;

მიზანი: მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება.

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქმიანობა: 1.1.1. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემის შექმნა.

პასუხისმგებლი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

2018 წლის მანძილზე თავდაცვის სამინისტროში მუშავდებოდა და დაინერგა მონაცემთა მართვის ახალი სისტემა. ახალი სისტემა ელექტრონულ რეჟიმში გენდერული ნიშნით მონაცემთა სეგრეგაციის და სტატისტიკური ანალიზის საშუალებას იძლევა.

საქმიანობა: 1.1.2. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, ანალიზი და პროცენტული მაჩვენებლის გასაჯაროება (პროცენტული რაოდენობა, რანგი, პოზიცია).

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება და მისი პროცენტული გასაჯაროვება ხდება თავდაცვის სამინისტროს შიდა სტრუქტურული ანგარიშგების საფუძველზე. დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მას დამატებით მიეწოდება მოთხოვნილი ინფორმაცია კანონით განსაზღვრული წესით. აღნიშნული სტატისტიკის წარმოება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები სქესის ნიშნით მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების წესის შესამუშავებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ყველა დაინტერესებულ მხარეს, კანონით განსაზღვრულ ვადაში, აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით.

საქმიანობა: 1.1.3. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალებისა და კაცების კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019.

2018 წლის ზაფხულში განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა კარიერის მართვაზე პასუხისმგებელი სამსახურები: თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პროფესიულ საჯარო მოხელეთა მართვის სამმართველოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა კარიერის მართვის განყოფილება და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის სამხედრო პერსონალის კარიერული მართვისა და პროფესიული განვითარების სამმართველო. თავდაცვის სამინისტროში, კარიერის მართვა ქალებისა და კაცებისათვის კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს ითვალისწინებს.

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ქალთა მდგომარეობის კვლევის მიზნით, 2018 წელს დაიწყო საერთაშორისო პროექტი - „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში: „ორგანიზაციული კლიმატის შეფასება“. 2019 წლის პირველ აპრილს, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დაიწყო ორგანიზაციული კლიმატის სრულმასშტაბიანი შესწავლა. მის ფარგლებში განხორციელდა გენდერული დისკრიმინაციის, თანამშრომელთა (სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები) სამსახურისადმი და ერთმანეთისადმი დამოკიდებულების შესახებ კვლევა, რომელიც დასრულდა 2019 წლის ივნისში. აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები და მომზადდა გადაწყვეტილებები, რაც ხელს შეუწყობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას და არსებული ორგანიზაციული გარემოს კიდევ უფრო გაჯანსაღებას. კვლევა ითვალისწინებდა სქესის ნიშნით მონაცემთა სეგრეგაციას და შედეგებიც შესაბამისად სეგრეგირებულია. კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების და ტენდენციების გათვალისწინება მოხდება ადამიანური რესურსების, მათ შორის, კარიერის მართვის პოლიტიკის დახვეწის პროცესში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზის სისტემა ამ ეტაპზე შექმნილი არ არის, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელს უწყობს ქალებისა და კაცების კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. ნებისმიერი სახის აქტივობაში, რომელიც დაკავშირებულია გადამზადებასთან, სწავლებასთან, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასთან, თანაბრად მონაწილეობენ როგორც ქალები, ისე კაცები.

საქმიანობა: 1.1.4. კარიერული განვითარებისთვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას უზრუნველყოფს როგორც სამინისტროს შიდა სამართლებრივი აქტები, ასევე ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პროფესიული განვითარების პროგრამების მართვის განყოფილება. აღნიშნული პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სამინისტროს „გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში უზრუნველყოფილია ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობა როგორც გაცვლით ვიზიტებში, ისე სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო მოდულში.

საქმიანობა: 1.1.5. *უსაფრთხოების სექტორის უწყებებისთვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების მომზადება, განახლება და დამტკიცება.*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

მიმდინარეობს 2014 წელს დამტკიცებული გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განახლების პროცესი. დოკუმენტის განახლება გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ სამინისტრომ ძირითადად შეასრულა სტრატეგიაში დასახული ამოცანები (ჩატარდა ქალთა მდგომარეობის კვლევა, შემუშავდა, დაინერგა და ხორციელდება ტრენინგები გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1325 და შემდგომი რეზოლუციების შესახებ, შეიქმნა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი, განისაზღვრა გენდერული მრჩევლები, ქალთა საჭიროებები გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესი მიმდინარეობს ქალთა ჩართულობით, მათი თანამდებობრივი უფლებამოსილების მიხედვით. აგრეთვე, მიმდინარეობს ქალთა ჩართულობის დონის ამაღლება საინფორმაციო კამპანიებში და გამოთქვამს მზაობას ახალი ამოცანების დასახვისა და განხორციელებისთვის. ამასთანავე, 2019 წელს ჩატარებული ორგანიზაციული კლიმატის კვლევის შედეგად, გამოიკვეთა საჭიროებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ახალ სტრატეგიაში.

კლიმატის კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გარდა, გენდერული თანასწორობის სტრატეგია დაეფუძნება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონს, ნატო-ს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას (2018) და „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციას. გენდერული თანასწორობის ახალი სტრატეგიის დამტკიცების შემდგომ, 2020 წლის პირველ კვარტალში მის ფარგლებში მოხდება თავდაცვის სამინისტროს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობას, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრას, ასევე გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას. ზემოაღნიშნული დოკუმენტი არის გადასინჯვის ეტაპზე და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

საქმიანობა: 1.1.6. *უსაფრთხოების სექტორის უწყებების თანამშრომლებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და კოორდინაციის მიზნით რეგულარული შეხვედრების ჩატარება.*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

ამოცანა 1.2. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის ზრდა ხელშეწყობილია.

ამოცანის ინდიკატორი

1.1.ა: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით;

ბაზისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძნობიარეა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს;

მიზანი: გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტები;

1.1.ბ: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

1.1.გ: უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და თავდაცვის ძალებში) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა;
ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

1.1.დ: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით;

ბაზისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 32%;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3 %;

მიზანი: მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქმიანობა: 1.2.1. სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ტრენინგის ჩატარება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

გაეროს 1325 რეზოლუციით გათვალისწინებული რეკომენდაციების ფარგლებში 5 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, დიდი ბრიტრანეთის საელჩოს, კონფლიქტების სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა სემინარი „მედიაცია და სამშვიდობო მოლაპარაკებები“. სემინარში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ქალბატონები, რომლებიც ჩართულნი არიან სამშვიდობო მოლაპარაკებებში ან პოტენციურად გეგმავენ მოლაპარაკებების პროცესში ჩართვას. 2019 - 2020 წლებში დიპლომატიური ინსტიტუტის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობით აღნიშნულ თემატიკაზე დაგეგმილია და პერიოდულად განხორციელდება სხვადასხვა სასწავლო პროგრამები. მათ შორის, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტრენერთა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც აღნიშნულ საკითხებზე გადამზადდება 4 ტრენერი. 2 საგარეო საქმეთა სამინისტროდან და 2 სამოქალაქო სექტორიდან. პროექტის ფარგლებში გადამზადებული ტრენერები გააგრძელებენ საქართველოს საჯარო უწყებების თანამშრომლების და სხვა ჩართული პირებისათვის ტრენინგების ჩატარებას. ამავე პროექტის ფარგლებში თითქმის დასრულებული სახე მიიღო სახელმძღვანელომ, რომელიც შემუშავებულია, როგორც გზამკვლევი სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართული ქალებისთვის.

საქმიანობა: 1.2.2. დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშის პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

ამოცანა 1.3. მშვიდობის მშენებლობის პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, ახალგაზრდების და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობა გაზრდილია და სახალხო დიპლომატიის ინიციატივები მხარდაჭერილია.

ამოცანის ინდიკატორი

1.3.ა: ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი;

გაზისი: 2017 წელი - 20%;

მიზანი: 2020 წელს 20% - იანი ზრდა;

წყარო: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საქმიანობა: 1.3.1. სამშვიდობო/ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის/თანამშრომლობის გაძლიერება.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით **20 შეხვედრა** გაიმართა დონორ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ახალი სამშვიდობო ინიციატივების მხარდასაჭერად „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის საკითხზე.

საქმიანობა: 1.3.2. ქალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა სახალხო დიპლომატიის ინიციატივების განსახორციელებლად.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივების „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მხარდაჭერისა და გაცნობის მიზნით, არაერთი შეხვედრა გაიმართა როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორების და დიპ. კორპუსის წარმომადგენლების მონაწილეობით. 2 შეხვედრა გაიმართა უშუალოდ კონფლიქტების თემაზე მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ქალთა ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობაზე. ასევე ახალი სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ფინანსური მექანიზმების შექმნისა და მუშაობის საკითხზე.

საქმიანობა: 1.3.3. განხორციელებული სამშვიდობო პროექტების შესახებ, გენდერულ ჭრილში, ინფორმაციის მომზადება და წლიურ ანგარიშში ინტეგრირება.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებს მუშაობას სამშვიდობო პროექტების შესახებ გენდერულ ჭრილში ინფორმაციის მომზადების მიმართულებით.

საქმიანობა: 1.3.4. ლიდერობის ტრენინგები დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

მიზანი 2: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და გადაჭრის საკითხებზე.

ამოცანა 2.1 შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული საკითხები განხილული და გათვალისწინებულია.

ამოცანის ინდიკატორი

2.1.ა: ქალებთან, ახალგაზრდებთან და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობა, რომლებიც მათი პოლიტიკის შემუშავებისა და მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: წლის განმავლობაში მინიმუმ სამი შეხვედრა;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

2.1.ბ: პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში ქალებისა და გოგოების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;

მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია; მუნიციპალიტეტები.

საქმიანობა: 2.1.1. რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში, კერძოდ კი სტატუსის განსაზღვრის, საარსებო წყაროებისა და განსახლების პოლიტიკის რეფორმის პროცესში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ეფექტურად შესრულებისთვის შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც არიან როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებს დევნილთა საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებთან ერთად რეგულარულად ესწრება იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“.

სამინისტროში, დევნილთა საკითხებზე სხვადასხვა მიზნობრიობითა და პერიოდულობით იქმნება დროებითი ექსპერტთა ჯგუფები, მათ შორის, საარსებო წყაროებისა და განსახლების საკითხებზე ახალი პროგრამების შემუშავების მიზნით. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფებში აქტიურად არიან ჩართულები დევნილ ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები. საანგარიშო წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ჩატარდა 2-ჯერ და TEG-(ექსპერტთა ჯგუფი) შეიკრიბა 2-ჯერ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ ითვალისწინებს მარტოხელა მშობლებისთვის დამატებითი ქულის მინიჭებას და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის დროებით საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

საქმიანობა: 2.1.2. რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტით დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში.

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

მიმდინარეობს ახალი რეგულარული დიალოგის წარმოების მექანიზმის შემუშავებისათვის სხვადასხვა პრაქტიკის მოძიება. ამასთან, აღნიშნული კომისიის წევრი უწყებები, მათი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მუნიციპალიტეტების ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთათვის არსებული სხვადასხვა სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის

მიწოდებისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით იყენებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს.

ამოცანა 2.2. მოლაპარაკებების პროცესში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საჭიროებები, პრიორიტეტები და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებულია.
ამოცანის ინდიკატორი **2.2.ა:** მოლაპარაკებების პროცესში, შეხვედრების ფორმატის და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალთა პრიორიტეტების და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი; ***ბაზისი:*** 2017 წელი - 70%; ***მიზანი:*** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი; ***წყარო:*** ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ოქმები.

საქმიანობა: 2.2.1. ინფორმაციის გაცვლისა და ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების მოლაპარაკებებში გათვალისწინების მიზნით, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო,სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წელს ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეგულარული დიალოგის ფარგლებში, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მონაწილეების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კონფლიქტებისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე კონფლიქტებისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ექპერტების ჩართულობით 2 გაცვლითი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისში (20 ივლისი: 26 ქალი და 21 კაცი; 17 დეკემბერი: 25 ქალი და 20 კაცი). შეხვედრაზე განხილული იყო ჰუმანიტარული და უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები, მათ შორის, ქალთა საჭიროებებზე დასმული საკითხები ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში. შეხვედრებზე ხდებოდა ინფორმაციის აქტიური ურთიერთგაცვლა. ერთის მხრივ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფო უწყებებს უზიარებდნენ ინფორმაციას კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ქალების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ. ხოლო, მეორეს მხრივ, ჟენევის დელეგაციის წარმომადგენლების მიერ ხდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისთვის ინფორმაციის მიწოდება სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმდინარეობისა და ჟენევის ფორმატში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ქალების პრიორიტეტების ასახვის შესახებ.

საქმიანობა: 2.2.2. ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების გაზიარების მიზნით 3 შეხვედრა ჩატარდა (20 მაისი, თბილისი - 14 ქალი, 4 კაცი; 10 აგვისტო, პერევი - 16 ქალი, 25 კაცი; 22 ოქტომბერი, ერგნეთი - 17 ქალი, 7 კაცი). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ქართული მხარის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა ქალებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თემისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა. შეხვედრებზე დამსწრე აუდიტორიას მიეწოდა ინფორმაცია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების შესახებ, ასევე განხილული იყო გამყოფ ხაზთან არსებული მდგომარეობა, უკანონო დაკავებები, მათ შორის მაია ოთინაშვილის დაკავების საკითხი, ასევე პერევში და ერგნეთში გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები.

მოქმედების სფერო II

პრევენცია

მიზანი 3. ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია.

ამოცანა 3.1. დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ადამიანური უსაფრთხოება გაზრდილია.
ამოცანის ინდიკატორი **3.1.ა:** დაკავებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა კაცებთან გამყოფი ხაზის ე.წ. "უკანონო" კვეთისას; ***ბაზისი:*** განისაზღვრება 2018 წელს; ***მიზანი:*** განისაზღვრება 2018 წელს; ***წყარო:*** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; **3.1.ბ:** გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის კონცეფციის არსებობა; ***ბაზისი:*** არ არსებობს; ***მიზანი:*** ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა; ***წყარო:*** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

საქმიანობა: 3.1.1. საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათ ოჯახის წევრებთან სექსუალური ან სხვა გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე (როგორიცაა ტრეფიკინგი, ომის ნარჩენები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავების საფრთხეები), ასევე სექსუალური ძალადობის მხსვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) სახელმწიფო სერვისების შესახებ.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; **პარტნიორი უწყება:** სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით 4 საკონსულტაციო შეხვედრა გამართა გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან, ძირითადად ქალების მონაწილეობით, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე სახელმწიფო სერვისების შესახებ.[1]

საქმიანობა: 3.1.2. წლიურად არანაკლებ 5 საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წელს, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურმა დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის სულ 23 საინფორმაციო–გასვლითი შეხვედრა გამართა საქართველოს მასშტაბით.

(**შენიშვნა**: ეს საქმიანობა გაერთიანდა ამ სამოქმედო გეგმის 4.1 საქმიანობასთან და მთლიანობაში ჩატარდა **23 შეხვედრა.** ორივე საქმიანობისთვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო **5+15 შეხვედრა).**

[1] 26 ივლისი, ქარელის მუნიციპალიტეტი: 10 ქალი, 14 კაცი; 31 ოქტომბერი, წაღვერი: 16 ქალი, 2 კაცი; 9 ნოემბერი, ოძისი -20 ქალი, 2 კაცი; 30 ნოემბერი, ქვემო ჭალა - 11 ქალი, 2 კაცი;

გასვლითი ღონისძიებებისას სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა დევნილებს მიაწოდეს ინფორმაცია, როგორც სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ, ასევე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის და სამსახურის სერვისების შესახებ.

საქმიანობა: 3.1.3. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების და ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა/ინფორმაციის განახლება.

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის მიზნით, პერიოდულად ახორციელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას და ინფორმაციის განახლებას.

საქმიანობა: 3.1.4. დევნილთა ჩასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წლის 14 თებერვალს გორში ჩატარდა საინფორმაციო ხასითის შეხვედრა თემაზე „გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირების გაძლიერება დევნილთა თემებში“ ასევე 2018 წლის 15 დეკემბერს თბილისის ზღვაზე დევნილთა კოლექტიურ დასახლებაში ჩატარდა ტრეინინგი „ქალთა

მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის სამართლებრივი საშუალებების“ შესახებ. აღნიშნული შეხვედრების მეშვეობით დევნილ გოგონებს და ქალებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ინფორმაციას ძალადობის არსის, ფორმების, გამოვლინებების, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოში არსებული დაცვის მექანიზმებისა და მათი უფლებების შესახებ.

საქმიანობა: 3.1.5. ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის #1325 პრინციპების ინტეგრირება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2019.

საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, კერძოდ „მოქალაქეობის“ საგნობრივ პროგრამაში სამშვიდობო განთლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და რეზოლუცია 1325-ის პრინციპების ინტეგრაცია განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმის ბოლო რევიზიის დროს, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 2018 წლის მაისში მინისტრის ბრძანებით #63/ნ.

ზემოაღნიშნული პრინციპების ინტეგრაცია გულისხმობს სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო უსაფრთხოების არსებითი ცნებების/საკითხებისა და რეზოლუცია 1325-ში წარმოდგენილი მთავარი ღირებულებებისა და პრინციპების ასახვას "მოქალაქეობის" საგნობრივ სტანდარტსა და წლიურ პროგრამებში, კერძოდ კი ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა:

- საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- სტანდარტის შედეგები, სავალდებულო სასწავლო თემები და ცნებები;
- მოსწავლის შეფასების ინდიკატორები;
- საკვანძო კითხვები.

საქმიანობა: 3.1.6. საპილოტე რეგიონებში გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება.

პასუხისმგებელი უწყება: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2020.

საქმიანობა: 3.1.7. კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2020.

ამოცანა 3.2. უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, სამშვიდობო, სამართალდამცავი და იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის შესაძლებლობები, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამის რეაგირებაზე, მათ შორის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, გაზრდილია.

ამოცანის ინდიკატორი

3.2.ა: სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე გადამზადებული უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების (მათ შორის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიცია), სამშვიდობო ძალების მოსამსახურეების და სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი.

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს
წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

3.2.ბ: სამხედრო დანაყოფებსა და სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული მრჩევლების რაოდენობა.

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს
წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

3.2.გ: კონფლიქტთან დაკავშირებული გენდერული ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრევენციის დოკუმენტებისა და პოლიტიკის ინტეგრირება ოპერაციებში.

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს
წყარო: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

3.2.დ: სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე გადაწყვეტილებების აღსრულების პროცენტული რაოდენობა.

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს

საქმიანობა: 3.2.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებსა და სპეციალურ ქვედანაყოფებში (მათ შორის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი და კრიმინალური პოლიცია) სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტურ რეაგირებას.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

„სადისციპლინო წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის N23 ბრძანებაში 2018 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად, დისციპლინური ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ჩამონათვალს დაემატა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე.

2018 წლის 28 ივნისს გამოიცა საქართველოს თავდაცვის მინისტრის N534 ბრძანება, რომლის თანახმადაც, გენდერული და სექსუალური ხასიათის ძალადობის და შევიწროების პრევენციის მიზნით, ელექტრონული სასწავლო კურსი „სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე“ სავალდებულო გახდა. შესაბამისად, აღნიშნული კურსი გაიარა თავდაცვის სამინისტროს ყველა სამოქალაქო პირმა, თავდაცვის ძალების ყველა ოფიცერმა და კაპრალ-სერჟანტებმა, რომლებიც დანიშნულნი არიან სამეთაურო/საშტაბო თანამდებობებზე.

2018 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სადისციპლინო წესდებას დაემატა ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების და სექსუალური შევიწროების შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროების ან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გასაჩვრებისთვის მოქმედებს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი.

საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირებასთან დაკავშირებით, 2018 წელს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის 3 დღიანი ტრენინგი გაიმართა. ზემოაღნიშნული ტრენინგი შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: გენდერის ტერმინოლოგიის და ძირითადი ცნებების გაგება - ძირითადი ცნებები და განსაზღვრებები; გენდერული

დისკრიმინაცია; გენდერული ძალადობა, სექსუალური შევიწროება სამუშაო და სასწავლო გარემოში; გენდერული სტატისტიკის წარმოება; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე; ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს 20-მა თანამშრომელმა.

2018 წელს გენდერული მრჩევლების ინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ბრიგადის დონის ქვედანაყოფებში პერსონალის მართვის ოფიცრები (G1) შეითავსებენ გენდერული მრჩევლების ფუნქციებს. მრჩევლების ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ხელს შეუწყობს თავდაცვის ძალებში სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტურ რეაგირებას.

საქმიანობა: 3.2.2. უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთათვის სავალდებულო ტრეინინგების შემოღება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

2017 წლიდან უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისთვის, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კურსი „გენდერი უსაფრთხოების სფეროში“, როგორც უსაფრთხოების საბაზისო კურსის ერთ-ერთი მოდული. სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასთან თანამშრომლობით, დაინერგა ელექტრონული კურსი „გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია ოპერატიული ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის“, რომელიც ეხება გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებას სამშვიდობო ოპერაციებში. აღნიშნული კურსი სავალდებულო იქნება როგორც მისიაში წარგზავნილი პირებისთვის, ასევე, სხვა ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის.

საქმიანობა: 3.2.3. სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგების გაუმჯობესება ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ- კონფლიქტურ სიტუაციებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგები გაუმჯობესებულია 2014-2016 წლებთან შედარებით. ტრენინგები მიმდინარეობს ინტერაქტიულ რეჟიმში, ხდება სამშვიდობო ოპერაციებში ჩართული საქართველოს თავდაცვის ძალების კონტიგენტის გამოცდილების მიმოხილვა. აღნიშნული შეესაბამება ნატო-ს წევრი ქვეყნების პრაქტიკას. ტრენინგები ეფუძნება „ნატო/ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმას (2018)“ და ნატო-ს მიერ აკრედიტირებული „სკანდინავიური ცენტრის გენდერის სამხედრო ოპერაციებში (NCGM Nordic Center in Gender in Military)” სწავლებებს. ტრენინგებს ატარებენ აღნიშნული ცენტრის მიერ სერთიფიცირებული ტრენერები.

საქმიანობა: 3.2.4. სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგებისათვის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ მოდულის შემუშავება და დამტკიცება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

სამშვიდობო ოპერაციებში წარგზავნამდე, გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგის მოდული - „ქალებზე, მშვიდობისა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ“ შემუშავებულია და ინტეგრირებულია სასწავლო პროგრამაში, რომელიც მტკიცდება თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით გადასროლის წინა მოსამზადებელ პერიოდში. 2018-2019 წლებში ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიაში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მისიაში წარსაგზავნ 3060 სამხედრო მოსამსახურეს, ჩაუტარდა ტრენინგი „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და მათი სამშვიდობო ოპერაციებში გამოყენების შესახებ“.

საქმიანობა: 3.2.5. ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის იუნკერებისთვის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე სასწავლო მოდულის შემუშავება და დამტკიცება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

შესრულების ვადა: 2018.

გენდერული მოდულის ინტეგრირება წარმატებით მიმდინარეობს როგორც სსიპ „ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ სასწავლო პროგრამებში, ასევე სამხედრო-საკარიერო კურსების ფარგლებში.

საქმიანობა: 3.2.6. ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადების და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

„გადასროლის წინა მომზადების და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში ინტეგრირებულია ოჯახში ძალადობის მოდული.

2018-2019 წლებში ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიაში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მისიაში წარსაგზავნ 3060 სამხედრო მოსამსახურეს ჩაუტარდა ლექცია-სემინარი თემაზე „ოჯახში ძალადობა“.

საქმიანობა: 3.2.7. გაეროს უშიშროების საბჭოს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების შესახებ სწავლებების განხორციელება სამხედრო საკარიერო კურსებსა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების კურსებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

“ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ“ სწავლებები ინტეგრირებულია სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების კურსებში. „გენდერი უსაფრთხოების სფეროში,“ ინტეგრირებულია, როგორც ერთ-ერთი მოდული უსაფრთხოების საბაზისო კურსში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება.

აღნიშნული სწავლებები აგრეთვე ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სასწავლო კურსებში. სწავლებებს ატარებენ „ნატო“-ს მიერ აკრედიტირებული „სკანდინავიური ცენტრის გენდერი სამხედრო ოპერაციებში“ (NCGM Nordic Center in Gender in Military)” მიერ სერთიფიცირებული ტრენერები, რომლებიც ამავდროულად თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები არიან.

საქმიანობა: 3.2.8. გენდერული ძალადობის გასაჩივრების და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა და გაუმჯობესება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

გენდერული ძალადობის მექანიზმები შექმნილია. ქვედანაყოფებში განსაზღვრულია გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროში მუშაობს გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც აქვს გენდერული ძალადობის გასაჩივრების პროცესების მხარდაჭერის ვალდებულება. გასაჩივრება შესაძლებელია თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

საქმიანობა: 3.2.9. გენდერული მრჩევლების ფუნქციების განსაზღვრა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

გენდერული მრჩევლების ინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, 2018 წლის 7 მაისს, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 25 დეკემბრის ბრძანებაში შევიდა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებულ "სპეციალური კვალიფიკაციათა კოდირების ნუსხას" დაემატა სპეციალობის დასახელება: **გენდერული საკითხების მრჩეველი.** ამასთან, შემუშავებულია გენდერული მრჩევლის ფუნქციები და სამუშაო აღწერა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და თავდაცვის სამინისტროს „გენდერული თანასწორობის სტრატეგიის“ თანახმად, რეგულარულად ხორციელდებოდა თავდაცვის სამინისტროს სისტემის გენდერული მრჩევლების ტრენინგები. გენდერული მრჩევლები ანგარიშვალდებულნი არიან გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის წინაშე.

საქმიანობა: 3.2.10. მიზნობრივი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფისათვის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოფიცრებისთვის, გაეროს უშიშროების საბჭოს #1325 და შემდგომი რეზოლუციების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირებასთან დაკავშირებით, 2018 წელს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის 3 დღიანი ტრენინგი გაიმართა. ზემოაღნიშნული ტრენინგი შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: გენდერის ტერმინოლოგიის და ძირითადი ცნებების გაგება - ძირითადი ცნებები და განსაზღვრებები; გენდერული დისკრიმინაცია; გენდერული ძალადობა, სექსუალური შევიწროება სამუშაო და სასწავლო გარემოში; გენდერული სტატისტიკის წარმოება; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე; ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს 20-მა თანამშრომელმა.

საქმიანობა: 3.2.11. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, სპეციალურ ქვედანაყოფებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წლის 9 ნოემბერს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ თანამშრომლობით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზისპირა სოფელ ოძისის საჯარო სკოლაში საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა.

შეხვედრის ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდეს შემდეგ თემებზე: გენდერული თანასწორობა; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების ქვეყანაში არსებული სერვისები და ა.შ.

ასევე, 2018 წლის 30 ნოემბერს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით, კასპის რაიონის, გამყოფი ხაზისპირა სოფელ ქვემო ჭალაში ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის საკითხებზე საინფორმაციო/ საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გამყოფი ხაზისპირა სოფელ წაღვლის საჯარო სკოლაში საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, რომელსაც სკოლის პედაგოგები, ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დამსწრე საზოგადოებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. დეტალურად ისაუბრეს ყველა იმ შესაძლებლობაზე, რომელთაც სახელმწიფო ძალადობით დაზარალებულ ადამიანებს სთავაზობს. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

საქმიანობა: 3.2.12. პროკურატურის თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს რეზოლუციების შესახებ.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქართველოს პროკურატურაში საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლების სპეციალიზაცია განხორციელდა. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 1 მაისიდან, ამ მიმართულების სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს პროკურატურის ორგანოებში გამოძიებას, საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას მხოლოდ სპეციალიზებული გამომძიებლები და პროკურორები ახორციელებენ. აღნიშნული პროცესისათვის პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლების მოსამზადებლად, 2018 წელს ჩატარდა 3 სპეციალიზაციის კურსი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა პროკურატურის 83 თანამშრომელი. სასწავლო პროგრამა მოიცავდა საერთაშორისო და ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის, "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

აგრეთვე, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისათვის ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა 2 სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. სწავლება ერთობლივად გაიარეს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში 32-მა პროკურორმა გაიარა გადამზადება. სასწავლო კურსი მოიცავდა "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

საქმიანობა: 3.2.13. იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იურისტების გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებში.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

2018 წელს სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბიუროებისა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენინგი,

რომლის მოდულის სამართლებრივი ნაწილი მოიცავდა საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის, სექსუალური და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ. ასევე, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ძირითად დებულებებს. სწავლება განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით.

ტრენინგების დასრულების შემდეგ, ადვოკატებმა გაიარეს ტესტირება, რომლის შედეგადაც წარმატებულ 39 კანდიდატს მიენიჭა სპეციალიზაცია ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე.

მოქმედების სფერო III **დაცვა**

მიზანი 4. ქალებისა და გოგოების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია.

ამოცანა 4.1. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და უფასო იურიდიული მომსახურების სისტემა.
ამოცანის ინდიკატორი **4.1.ა:** ქალთა პროცენტული რაოდენობის ზრდა (კაცებთან თანაფარდობით), რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს უფასო იურიდიული მომსახურებით; ***ბაზისი:*** 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაეწია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676, კაცი - 600; ***მიზანი:*** 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი - 6%; კაცი - 4%); ***წყარო:*** სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქმიანობა: 4.1.1. წლიურად არანაკლებ იურიდიული დახმარების სამსახურის 15 უფასო საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის, საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის სულ 23 საინფორმაციო–გასვლითი შეხვედრა გამართა მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფარგლებში მოქმედი გეგუთის საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, რომელსაც ჯამში დაესწრო 247 დევნილი პირი, მათ შორის, 170 ქალი და 77 კაცი. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, 2018 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაეწია 1212 დევნილს. შესაბამისად, ჯამში 2018 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება მიიღო 1459-მა დევნილმა პირმა, მათ შორის, 774 ქალი და 685 კაცი, რაც საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%-მდეა.

(**შენიშვნა:** ეს საქმიანობა გაერთიანდა ამ გეგმის 4.1 საქმიანობასთან და მთლიანობაში ჩატარდა 23 შეხვედრა. ორივე საქმიანობისთვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო 5+15 შეხვედრა).
გასვლითი ღონისძიებებისას სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა დევნილებს მიაწოდეს ინფორმაცია, როგორც სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ, ასევე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის და სამსახურის სერვისების შესახებ.

საქმიანობა: 4.1.2. იურიდიული დახმარების რეგულარული მიწოდება დევნილი ქალებისა და გოგოებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

ამოცანა 4.2. დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებს და გოგოებს აქვთ შესაბამისი ხელმისაწვდომობა საჯარო სერვისებზე.

ამოცანის ინდიკატორი

4.2.ა: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;
წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

4.2.ბ: გაწეული სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;
წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

4.2.გ: სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პროცენტული მაჩვენებელი;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

საქმიანობა: 4.2.1. სამეგრელოში, იმერეთში და შიდა ქართლის რეგიონებში იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით „ერთი ფანჯრის" პრინციპით შეხვედრების ორგანიზება (წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ).

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ, სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მონაწილეობით, 2018 წლის იანვარში დევნილთა მოსაზრებების გამოვლენის მიზნით, განხორციელდა მონაწილეობითი შეფასება. კერძოდ, გაიმართა 7 შეხვედრა (ორი თბილისში, ორი წეროვანში, ზუგდიდში, ქუთაისში და შაუმიანში) და ფოკუს-ჯგუფის დისკუსია ცალ-ცალკე გოგონების, ქალების და კაცებისა და ბიჭების ჯგუფებთან;
გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლისა და სამინისტროს აქტიური მონაწილეობით, დევნილის ყოველთვიური შემწეობის რეფორმის, დევნილთა განსახლების პოლიტიკისა და დევნილებისთვის სხვა მნიშვნელოვანი თემების ირგვლივ 2018 წელს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა ფოკუს ჯგუფის დისკუსიები დევნილთა 21 ჯგუფთან (შაუმიანში, ქუთაისში, ზუგდიდში, წეროვანში, თბილისში, გორში და მარნეულში).

2018 წლის მაისში, დანიის ლტოლვილთა საბჭოს დაფინანსებით და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის - „თანხმობა“ ორგანიზებით, სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მუნიციპალიტეტების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სახალხო დამცველის ოფისისა და სხვადასხვა არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით დევნილებთან გაიმართა დისკუსია ყოველთვიური შემწეობის რეფორმასთან დაკავშირებით.

საქმიანობა: 4.2.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ჯანდაცვის სერვისების წვდომაზე.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2020.

საქმიანობა: 4.2.3. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განახლება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, განსაკუთრებულად ქალების და გოგოების საჭიროებების გათვალისწინებით.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2020.

საქმიანობა: 4.2.4. ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების გაზის შექმნა; ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების განსაზღვრის მიზნით.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების ვადა: 2018.

საქმიანობა: 4.2.5. სქესის და ასაკის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განათლების, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებით, გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით: სულ 46 074, მათგან 22,887 ქალი, ხოლო 23,187 კაცია. (დეტალური ინფორმაცია სტატისტიკის შესახებ მოცემულია დანართის სახით). [2]

მიზანი 5. სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგოები და მათი ოჯახის წევრები.

ამოცანა 5.1. დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები ხელმისაწვდომია და ჩართულობა გაზრდილია.
ამოცანის ინდიკატორი **5.1.ა:** დევნილი ქალებისა და გოგოების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მეწარმეობის განვითარების პროგრამებით; ***ბაზისი:*** პოლიტიკის არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით; ***მიზანი:*** მინიმუმ 40%; ***წყარო:*** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; **5.1.ბ:** ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში დევნილი ქალებისა და გოგოების ჩართულობის პროცენტული რაოდენობა; ***ბაზისი:*** 40 %; ***მიზანი:*** საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება; ***წყარო:*** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

[2] - 4.2.5.xlsx

5.1.გ: ეკონომიკურ/სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებში და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტით შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა;

ბაზისი: 40 %
მიზანი: საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება
წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

5.1.დ: გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს
წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქმიანობა: 5.1.1. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლესი განათლების ფინანსური მხარდაჭერა.

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ სტუდენტებს

დაუფინანსდათ სწავლის საფასური (ერთი სასწავლო წლით). 2017-2018 სასწავლო წელს დაფინანსდა 1193 სტუდენტი (2,5მლნ ლარი) და 2018-2019 სასწავლო წელს - 1635 სტუდენტი (3,3 მლნ ლარი).

საქმიანობა: 5.1.2. დევნილი ქალების და ახალგაზრდების სახელოვნებო-შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2019-2020.

2019-2020 პროფესიული სააგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, როგორც პროფესიულ კოლეჯებში, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2018 წელს, ჯამში ჩაირიცხა 7879 პირი, მათ შორის, 3345 ქალი, მათგან დევნილის სტატუსის მქონე - 169. ***საგაზაფხულო მიღება:*** 1203 ქალი, მათ შორის, 134 დევნილი; ***საშემოდგომო მიღება:*** 2142 ქალი, მათ შორის, 35 დევნილი;

ქალ აპლიკანტთა მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა სამკერვალო ნაწარმის, თმის სტილისტის, თექის ოსტატის, ვებ-ინტერფეისის დეველოპერის, მზარეულისა და პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ.

საქმიანობა: 5.1.3. დევნილი ქალებისა და გოგოების სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ხელშეწყობა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დევნილთა, მათ შორის, დევნილი გოგონებისა და ქალების, ჩარიცხვის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განახორციელა საინფორმაციო კამპანია. პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის გამოცხადების პარალელურად მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაეგზავნათ სამინისტროს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ დევნილებს, ასაკობრივი კრიტერიუმის გათვალისწინებით. ამჟამად მიმდინარეობს 2018 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილების, მათ შორის, დევნილი ქალებისა და გოგონების რაოდენობების დათვლის პროცესი.

საქმიანობა: 5.1.4. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილი ქალებისა და გოგოების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მოთხოვნით მომართვა განახორციელა 321-მა დევნილმა (161 ქალი - 50,1%) მათ შორის, დაკმაყოფილდა 286, მათგან 140 და შესაბამისად 49% იყო ქალი. დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განახორციელა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

კურსდამთავრებულებს გადაეცათ სახელობო იარაღები თავიანთი პროფესიების შესაბამისად. სულ სააგენტოში შემოვიდა 80 პროექტი (40 ქალი დევნილის პროექტი), მათგან დაფინანსდა 44 პროექტი, მათ შორის იყო 19 პროექტი და შესაბამისად, 43% დევნილი ქალის მიერ წარმოდგენილი.

საქმიანობა: 5.1.5. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი და დაბრუნებული მიგრანტი ქალების დაფინანსება შემოსავლის წყაროს და თვითდასაქმების მიზნით.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქმიანობა: 5.1.6. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე წვდომის ხელშეწყობა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქმიანობა: 5.1.7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საინფორმაციო, სამართლებრივი და ტექნიკური კონსულტაციების გაწევა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქმიანობა: 5.1.8. სამეწარმეო, სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2019 წლის 1 იანვრიდან ახალი საგრანტო პროგრამა ,,აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ ამოქმედდება, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებენ.

ზემოხსენებული პროგრამა საქართველოს მთავრობის ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა და გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებას ითვალისწინებს. ინიციატივა ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობების იმგვარად წახალისებას, რომ

შესაძლებელი გახდეს გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, ახალი შესაძლებლობების განვითარება და შიდა/საგარეო ბაზრებზე წვდომა. ასევე, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შესთავაზოს ეკონომიკური სარგებლის მიღების ახალი გზები და შესაძლებლობები, უფრო პერსპექტიული, ალტერნატიული ბაზრები.

აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილება) რომელსაც საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა 2018 წლის 6 ივნისს.

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე, თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, ახალი პროგრამა უზრუნველყოფს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოების და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს განაცხადების მიღება და ჯამში შემოსულია 56 ბიზნეს განაცხადი, რომელთა მიღება დასრულდება 2019 წლის 12 მაისს.

საქმიანობა: 5.1.9. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისებისადმი წვდომის ხელშეწყობა და გამარტივება.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ. სამშვიდობო ინიციატივის მიზანია, არსებულ სასოფლო-სამეურნეო სახის ვაჭრობაზე დამატებითი რეგულაციების დაწესების გარეშე, გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო ოპერაციების ხელშეწყობა, გამარტივება და გაფართოება სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების გამოყენებით, როგორიც არის პირადი ნომრით სტატუს-ნეიტრალური რეგისტრაცია, გამყოფი ხაზების

გასწვრივ ვაჭრობის გადასახადებისგან გათავისუფლება, ვაჭრობის წახალისების მიზნით სპეციალური საგრანტო პროგრამის და ფონდის შექმნა.
აღნიშნული ინიციატივის განხორციელება საგრძნობლად გააუმჯობესებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას იქონიებს გადაადგილების თავისუფლებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად ცვლილება ასევე შევიდა,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. 1+4 პროგრამაზე სწავლის გაგრძელება უფლების შეუძლიათ ახალი რეგულაციით, კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების აფხაზური ან ოსური ენის ტესტის ჩაბარების საფუძველზე, ნაცვლად ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ტესტის ჩაბარებისა.

საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ასევე შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მოსახლეობა ვერ იღებს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი განათლების სტანდარტების შესაბამის განათლებას, შეიქმნება სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა, რომელიც სპეციფიურად გათვალისწინებული იქნება აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის, უზრუნველყოფს მათ ზოგადი განათლების დონის გაზრდას და სრულფასოვან მომზადებას უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მიზნით. აღნიშნული პროგრამის არსებობა, საგანმანათლებლო და პროცედურული თვალსაზრისით, საგრძნობლად გააუმჯობესებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას როგორც საქართველოში არსებულ, ასევე უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ზემოხსენებული რეგიონიდან სტუდენტების მომზადება/გადამზადება სასურველ საგნებში, მათ შორის, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, აფხაზურ ან ოსურ ენაში, უცხოურ ენაში, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის გათვალისწინებულ არჩევით საგნებში, ზოგად უნარებში, კომპიუტერულ პროგრამებში, და ა.შ, რათა მათ შემდგომში გაუადვილდეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შერჩეულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება. ერთწლიანი პროგრამის დასრულებისა და შერჩეულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევის შედეგად, პირს შეეძლება ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება ერთიან ეროვნულ

გამოცდებზე გასვლის გარეშე. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების სტატუს-ნეიტრალური პროცედურის უფრო გამარტივების და მოქნილობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საერთაშორისო - საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის N1067 ბრძანებაში. შედეგად, განმცხადებლის სახელით აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის, ასევე აღიარების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა ასევე მიეცა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამარტივება. ამ მხრივ გრძელდება სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურეობას უფასოდ აწვდის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი, საჭიროებაზე გათვლილი სამედიცინო მომსახურეობა საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. 2018 წლის წელს იანვრიდან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შემოვიდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 1 417 516 ადამიანის განცხადება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან სამედიცინო დახმარების შუამდგომლობის თაობაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლები აგრძელებენ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას. გარდა ამისა, საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებს ეფექტურად მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა განაგრძობს აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების, მათ შორის იმუნიზაციის და ვეტერინარული ვაქცინების, დიაბეტის, B ჰეპატიტის ვაქცინების და C ჰეპატიტის ტესტების, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკების, აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიწოდებას.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს ასევე პერიოდულად გადაეცემა სასწრაფო დახმარების მანქანები, სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ 2018 წელს დაახლოებით უკვე 75 მილიონი ლარი შეადგინა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მეჯვრისხევში (გორის მუნიციპალიტეტი), ტყვიავში (გორის მუნიციპალიტეტი), ბერძენაულში (ქარელის მუნიციპალიტეტი), რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ორსანტიასა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ჯვარში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „საქართველოს

ეროვნული არქივი“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ და შპს „მექანიზატორი“) და კერძო სექტორის („მაგთიკომი“ და „ლიბერთი 36 ბანკი“) სერვისებით. სერვისების გარდა, საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომია ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ელექტრონული და მატერიალური ბიბლიოთეკა; ასევე, შეხვედრების ოთახი. აღნიშნულ ცენტრებში 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, საინფორმაციო და კულტურული ხასიათის 89 ღონისძიება (მათ შორის, გენდერის და ოჯახში ძალადობის, შშმ პირთა საკითხებსა და ადამიანის უფლებების თემებზე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და სხვ.), სადაც მონაწილეობა მიიღო 1450-მდე ადგილობრივმა მცხოვრებმა.

საქმიანობა: 5.1.10. გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების გადამზადების და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით სასწავლო მოდულის შემუშავება და პროგრამების განხორციელება ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხების ირგვლივ.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „სასწავლო კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“ (22 სექტემბერი - 17 ოქტომბერი). აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადამზადდა 17 ქალი (14 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან, 4 - გალიდან).

საქმიანობა: 5.1.11. გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები სტუდენტების ჩართვის შესაძლებლობა არსებულ სასწავლო კურსებში კვოტირების მექანიზმის საშუალებით.

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

პარტნიორი უწყება: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საანგარიშო პერიოდში 4-მა სტუდენტმა (2 ქალი, 2 კაცი) გალიდან, გაიარა ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გამოცხადებული სასწავლო კურსი „ფინანსური მოდელირება ექსელში“.

საქმიანობა: 5.1.12. გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში, დაინტერესების შემთხვევაში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართვა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქმიანობა: 5.1.13. დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის, მათი დაინტერესების შემთხვევაში, გარემოს დაცვის საკითხებზე სემინარების ჩატარება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წელს სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ ასევე სოფ. წეროვანის აღმზრდელ-პედაგოგებიც. აღნიშნული ტრენინგის შედეგად, საბავშვო ბაღებში დაინერგა სასკოლო მზაობის სტანდარტის შესაბამისად შედგენილი სახელმძღვანელო „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ სოფ. წეროვანში მცხოვრები დევნილი სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა ლექცია-სემინარი კლიმატის ცვლილებისა და ეკოსისტემური სერვისების შესახებ.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სოფ წეროვანში მცხოვრები დევნილი ქალებისათვის გაიმართა კონკურსი „მწვანე ეზო“.

ამოცანა 5.2. დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის კულტურული და სპორტული პროგრამები ხელმისაწვდომია და მათი ჩართულობა გაზრდილია.

ამოცანის ინდიკატორი

5.2.ა: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, ვინც ისარგებლა კულტურული და სპორტული პროგრამებით;

ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს;
მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს;
წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

საქმიანობა: 5.2.1. სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების მხარდაჭერა დევნილ პირთა დასახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში ხორციელდება სახელოვნებო წრეების მხარდაჭერა. კერძოდ 12 სახელოვნებო სკოლაში: გორი, წეროვანი, მეტეხი, შაუმიანი, კოდა, თელიანი, შავშვები, სკრა, კარალეთი, ხაშური, მოხისი, ახალსოფელი. ამ სკოლებში დასაქმებულია 69 პედაგოგი და სწავლობს 700-მდე ახალგაზრდა, რომელთა უმრავლესობასაც წარმოდაგენენ გოგონები. სკოლებში ფუნქციონირებს წრეები: თექა, ხატვა, ქსოვა, კერვა, მინანქარი, ხალხური საკრავები და სიმღერა, ფორტეპიანო, საესტრადო სიმღერა. სასწავლო პროცესი გრძელდება 15 თებერვლიდან 15 დეკემბრამდე;

საქმიანობა: 5.2.2. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კულტურულ ობიექტებსა და ღონისძიებებზე სპეციალური საშეღავათო პირობების შემოღება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2012 წლიდან სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კერძოდ, მუზეუმები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას სთავაზობენ უფასო მომსახურებას.

საქმიანობა 5.2.3 კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა/განხორციელდა 20 ზე მეტი ღონისძიება. ღონისძიებები განხორციელდა, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში,[3] სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში,[4] სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში,[5] სსიპ ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმში[6],სსიპ ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში,[7] სსიპ ივანე მაჩაბლის მუზეუმში,[8] სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმსა[9] და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში.[10]

საქმიანობა: 5.2.4. მიზნობრივი სპორტული ღონისძიებების განხორციელება ახალგაზრდებისთვის.

---

[3] ლექციები თემაზე ,,აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მითოლოგია, რწმენა-წარმოდგენები, სოციალური ურთიერთობა" (ლექციებს დაესწრო 60-ზე მეტი მოსწავლე) კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა ,,კოსტაობა" (ოსური ფოლკლორის, ეთნოგრაფიის პოპულარიზაციისა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოსური კარ-მიდამო მთელი წლის განმავლობაში მასპინძლობდა დამთვალიერებელს, რომელიც ეცნობოდა ოსურ ყოფას, ტრადიციებს და კულტურას) კონფერენცია ,,კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე" (სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით)

[4] 8 აგვისტო - აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტო-მასალის გამოფენა.

[5] 8 აგვისტოს - ღონისძიება ,,ჩვენ გვინდა მშვიდობა", სადაც მოწვეულნი იყვნენ დევნილები კონფლიქტის ზონიდან.

[6] 14დეკემბერი - იმგადახდილი სოფელი ტყვიავი - კეცხოველთა გვარის საინტერესო ისტორია (კონფლიქტის ზონაში - ტყვიავში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობა გაეცნო კეცხოველთა გვარის მოღვაწეობას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული ფოტომასალა)

19 მაისი - აქცია „ღამე მუზეუმის" ფარგლებში - კოსტიუმირებული პერფორმანსი; მოდების ჩვენება დევნილთა ჩასახლებაში არსებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მონაწილეობით; გამოფენა საზოგადოება „ბილიკის" აღსაზრდელების მონაწილეობით; ცოცხალი მუსიკა გორის სამუსიკო კოლეჯის და გორის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით; „შავფაროსნების" საჩვენებელი სანახაობა; მეჯლისი; სადღესასწაულო ფოიერვერკი.

აგვისტო - ცხინვალიდან დევნილი პროფესორის ნიკო ოთინაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „ქართლის მთიანეთის, დვალეთის კულტურული ისტორიული ვითარების შესახებ" და თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის „მე არ გადამიკვეთავს საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე" ჩვენება.

8 აგვისტო - პროექტის „შე და მუზეუმი" ფარგლებში გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება - ბუფერულ ზონაში მცხოვრები მხატვრის თეა რაზმაძის ნამუშევრების გამოფენა.

[7] 23 მარტი - ყვარლის №2 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებმა საგაკვეთილო თემის ,,აფხაზეთი'' მიხედვით ჩაატარეს გაკვეთილი-ვიქტორინა ილიას მუზეუმში, ბავშვებმა წარმოადგინეს მოძიებული მასალები, ნახეს ფილმი აფხაზეთის შესახებ.

18 აპრილი - ღონისძიება - "ილია და აფხაზეთი" - ყვარლის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას ილიას აფხაზეთში მოღვაწეობის თაობაზე.

[8] 30 ნოემბერი - საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებში ჩართულობის მიზნით, საზღვრისპირა სოფელ შინდისის საჯარო სკოლაში გაიმართა ივანე მაჩაბლის მუზეუმის მასალებისა და სამაჩაბლოს კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მოძრავი ფოტო-გამოფენა

[9] 15 მაისი - შემეცნებითი ტური ,,დიდოსტატი 125". კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოეწყო შემეცნებითი ტური აბაშაში, მწვრლის სახლ-მუზეუმში, პარალელურად, დადიანების სასახლეში მოეწყო გამოფენა ,,დიდოსტატი 125", გამოიცა ბარათები. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები (სკოლა მდებარეობს ქ. ზუგდიდში). მოსწავლეებმა მდ. ზანის ნაპირზე შექმნეს საინტერესო ჩანახატები, დაათვალიერეს გამოფენა და მოისმინეს გამსახურდიას ბიოგრაფიის ის საინტერესო დეტალები, რაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს უკავშირდება.

მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ,,მუზეუმის კვირეულის" ფარგლებში, მუზეუმში მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც გაეცნენ დადიანების სასახლის კოლექციას.

[10] მომზადდა ალბომი/კატალოგი ,,აფხაზეთის ძეგლები" (დალაგდა ფოტომასალა, დაიწერა წინასიტყვაობა. თარგმნა, დაკაბადონება და დიზაინის სამუშაოები გადაიდო 2019 წლისთვის)

მომზადდა ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფცაში არსებული სათავდაცვო კოშკის სარეაბილიტაციო პროექტი

დასრულდა დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოძისი, ერისთავების სახლ-მუზეუმის II და III ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები

მომზადდა ეროვნული კატეგორიის ინდუსტრიული ძეგლის სტატუსის მქონე ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის სივრცეში, დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ორგანიზებით მოეწყო ფოტო-გამოფენა „ცხინვალის რეგიონის ისტორიულ- არქიტექტურული ძეგლები"

ჩატარდა ქსნის ხეობის (ზემო წელი, ოკუპირებული ახალგორი) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია დევნილთა ჩასახლებებში

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს: "ცხავატერი მეთუნეობა", "ქსნური ულამი - უსასყიდლო შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიცია", აფხაზური მარილს ,,აპირპილ-ჯიკა" - დამზადების წესი, მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

ჩატარდა ამეცნიერო სემინარი თემაზე: „ქსნის ხეობის (ზემო წელი) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა"

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მის მიერ აღიარებული ორგანიზაციის მიერ, საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სოფელ ნიქოზში გაიმართა მასობრივი სპორტული ღონისძიება, რომელშიც სპორტის რამდენიმე სახეობაში ჩაერთო 200-მდე ადგილობრივი მცხოვრები არასრულწლოვანი, აქედან, მონაწილეთა 60% - არასრულწლოვანი გოგონა.

მოქმედების სფერო IV

სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება და მონიტორინგი

მიზანი 6. 1325 რეზოლუციის მიზნები და ამოცანები ინტეგრირებულია ეროვნულ პოლიტიკასა და უწყებრივ სტრატეგიებში.

ამოცანა 6.1. ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მდგრადი მექანიზმი.

ამოცანის ინდიკატორი

6.1.ა: თბილისსა და რეგიონებში უწყებათაშორისი კომისიის რეგულარული შეხვედრების ოქმების არსებობა;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: ოქმების არსებობა;

წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

6.1.ბ: ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება (ექვს თვეში ერთხელ);

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: საჯარო მონიტორინგის ანგარიშის არსებობა;

წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

6.1.გ: ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის არსებობა და გასაჯროება;

ბაზისი: არ არსებობს;

მიზანი: საჯარო წლიური ანგარიშის არსებობა;

წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

საქმიანობა: 6.1.1. იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და გოგოებთან შეხვედრების ორგანიზება სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესის შესწავლისა და მონიტორინგისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

საქმიანობა: 6.1.2. მუნიციპალიტეტებისა და ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ 2018 წელს დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, კოორდინაციის და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა კონცეფცია „მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა“, რომელშიც ინტეგრირდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ რეკომენდაციები.
კონცეფციის მიხედვით, უწყებათაშორის კომისიაში შეიქმნება თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონკრეტულად იმუშავებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ლოკალიზაციის მიმართულებით და ხელს შეუწყობს აღნიშნული პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნულ ჯგუფში მოწვეულნი იქნებიან თემატური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში განისაზღვრება გენდერზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაციას და უზრუნველყოფს რეგიონულ დონეზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების ინფორმირებას. აქვე აღსანიშნავია, რომ კოორდინაციის

თვალსაზრისით, უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი.
მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის შექმნის მიზნით 2019 წლის იანვარსა და მარტში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა, სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქმიანობა: 6.1.3. კომისიის ექსპერტებით, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროგრესის განხილვისთვის.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ არაერთ საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. სამუშაო შეხვედრებზე განიხილებოდა როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოულუციების შესრულებასთან მიმართებით მიღწეული პროგრესი, ისე გამოწვევები. მათ შორის, აღსანიშნავია ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა,[11] კიევში გამართული საერთაშორისო კონფერენცია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების მიმართულებით, [12] მოლდოვისა და უკრაინის სასწავლო ვიზიტი „ქალებზე, მშვიდობასა, უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების გამოცდილების გაზიარების მიზნით.[13] 2018 წლის განმავლობაში გაიმართა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის 2 სხდომა (20.02.18 / 24.05.18) და განხორციელდა 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმების ბიუჯეტირება.

[11] http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=198&info_id=68477
[12] http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=198&info_id=66735
[13] http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=198&info_id=65610

2018 წელს უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის გაზიარების და საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ინფოგრაფიკა, რომელიც გაზიარდა კომისიის პარტნიორ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია სამუშაო ფორმატში ინტენსიური თემატური განხილვები კომისიის ექსპერტების, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქმიანობა: 6.1.4. გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ხელშეწყობა.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობის კომისიის მხარდასაჭერად“, ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული კომპონენტის დასრულება დაგეგმილია 2019 წლის მაისის ბოლომდე.

საქმიანობა: 6.1.5. ანგარიშის წარდგენა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

2018 წელს უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის გაზიარების და საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ინფოგრაფიკა, რომელიც გაზიარდა კომისიის პარტნიორ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია სამუშაო ფორმატში ინტენსიური თემატური განხილვები კომისიის ექსპერტების, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისია უზრუნველყოფს 2018 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმების ანგარიშის გასაჯაროვებას და პროგრესის ანგარიშის წარდგენას ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საქმიანობა: 6.1.6. გეგმის იმპლიმენტაციის პროცესში იმ საკითხების იდენტიფიცირება, რაც საჭიროების შემთხვევაში აისახება გეგმაში ცვლილებების სახით შუალედური ანგარიშგებისას და წარედგინება საქართველოს მთავრობას განსახილველად/ დასამტკიცებლად.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია სამთავრობო სამოქმედო გეგმის ანგარიშის მომზადების შემდეგ.

საქმიანობა: 6.1.7. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, რომელიც განსახილველად წარედგინება ადამიანის უფლებების უწყებათაშორის საბჭოს და საქართველოს პარლამენტს.

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2018-2019-2020.

ანგარიშის მომზადება და პარლამენტში წარდგენა დაგეგმილია 2019 წლის მაისის ბოლომდე.

საქმიანობა: 6.1.8. სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშის მომზადება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

პარტნიორი უწყება:

შესრულების ვადა: 2019.

სახალხო დამცველის აპარატში ხდება მონიტორინგის მეთოდოლოგიის განახლება რის ფარგლებშიც, 2019 წლის პირველ კვარტალში მოხდება აღნიშნული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაციის გამოთხოვა პასუხისმგებელი უწყებებიდან, 2019 წლის მეორე კვარტალში ჩატარდება მონიტორინგი განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მესამე კვარტალში მოხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ამის შემდეგ, მოხდება სპეციალური ანგარიშის გამოქვეყნება.